585/
1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (128) 20 თებერვალი 1961 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

73. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ავღანეთს შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

74. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

75. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

76. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირიდან არგენტინაში არგენტინის ნავთობის მრეწველობისათვის მანქანური მოწყობილობის კრედიტით მიწოდების თაობაზე სსრ კავშირ-არგენტინის შეთანხმების დამატებითი ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

77. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ს. ემელიანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

78. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

79. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედიცინის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

80. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ამხ. ბ. ნ. რიჟოვას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

81. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

82. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. ხ. ძუგაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

83. ბრძანებულება სსრ კავშირის უმთლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეც-ნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის ლენინის ორდე-ნით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნე-ბის სიგელები გადასცა ისლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. ჰუდ-მუნდსონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. ჭანუყვა-ძის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფ-ლების შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. იაკობა-შვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

86. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. მ. რატიანის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

87. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. თ. გრძელი-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

### განყოფილება მეორე

88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოწინავე ახალგაზრ-და მშენებლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

90. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და-ჯილდოების შესახებ.

91. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. კეჩხუაშვი-ლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოე-ბის შესახებ.

## შეთანხმება

## 73 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ავღანეთს შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ

იმის მიხედვით, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება წარმოადგენს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის მნიშვნელოვან ფაქტორს და რომ ქვეყნებს შორის კულტურული კავშირის გაფართოება ემსახურება კეთილი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებასა და განმტკიცებას, ხოლო მეგობრული კავშირი განაპირობებს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას მთელ მსოფლიოში;

იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე ურჩევს წევრი-ქვეყნების მთავრობებს ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთგაგების მიღწევას ეკონომიკისა და კულტურის დარგში კეთილი ურთიერთობის დამყარების გზით;

ითვალისწინებენ რა ორივე ქვეყნის ურთიერთმისწრაფებას თანაარსებობისა და პროგრესისადმი მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების ვითარებაში;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ავღანეთის მეფის მთავრობამ, ემყარებიან რა ზემომოყვანილ პრინციპებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე და სურთ რა განამტკიცონ ორივე ქვეყნის თანამშრომლობა კულტურის სხვადასხვა დარგში;

გადაწყვიტეს დადონ შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც შეიცავს ქვემომოყვანილ მუხლებს:

### მუხლი 1

შეთანხმების დამდები ორივე მხარე წაახალისებს სამეცნიერო, ლიტერატურული და ხელოვნებათმცოდნეობის ორგანიზაციებისა და საზოგადოებების ურთიერთთანამშრომლობას.

### მუხლი 2

შეთანხმების დამდები თვითეული მხარე ურთიერთშორის კულტურული კავშირის განვითარების, აგრეთვე შეთანხმების დამდები მეორე მხარისათვის თავისი კულტურის უკეთ გაცნობის მიზნით იმოქმედებს და ითანამშრომლებს შემდეგ დარგებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

a) დელეგაციების გაცვლა კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის დარგში;

b) მსახიობთა კოლექტივების გაცვლა და კონცერტების ორგანიზაცია;

c) ლექციების კითხვა;

d) სამეცნიერო და მხატვრული გამოფენების ორგანიზაცია;

e) ტურიზმის წახალისება;

f) წიგნებისა და ნაბეჭდ გამოცემათა ან მათი პირების ურთიერთგაცვლა შესაძლებლობის ფარგლებში და ყოველი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად;

g) მხატვრული, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გაცვლა, აგრეთვე რადიოპროგრამების შედგენა და გაცვლა;

h) ხელნაწერი ძეგლების მიკროფილმების გაცვლა.

### მუხლი 3

შეთანხმების დამდები ორივე მხარე წაახალისებს კულტურულ, სპორტულ და ტურისტულ ურთიერთ მოგზაურობებს თავიანთ ქვეყნებში და შექმნის ამისათვის შესაძლებელ შეღავათებს.

### მუხლი 4

შეთანხმების დამდები ორივე მხარე ყოველ ღონეს იხმარს, რომ განამტკიცოს და განავითაროს კავშირი თავიანთი ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოებებსა, საგამომცემლო ორგანიზაციებსა და ისტორიულ მუზეუმებს შორის, აგრეთვე განახორციელებს ძველი მხატვრობის ნაწარმოებთა და სხვა სახეობათა ხელოვნების ნიმუშთა ან მათი პირების ურთიერთგაცვლას.

### მუხლი 5

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას თვითეული მხარის მიერ დადგენილი კონსტიტუციური წესით და ძალაში შევა ერთი თვის შემდეგ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან, რაც მოხდება მოსკოვში.

### მუხლი 6

ეს ხელშეკრულება დადებულია 5 წლის ვადით. თუ შეთანხმების დამდები არც ერთი მხარე ზემოაღნიშნულ ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე არ განუცხადებს მეორე მხარეს თავის განზრახვას მისი გაუქმების შესახებ, მაშინ ეს შეთანხმება იმოქმედებს მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

დადებულია ქაბულში 1960 წლის 4 მარტს ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და პუშტუ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ნ. ხრუშჩოვი.**

ავღანეთის მეფის მთავრობის პრემიერ-მინისტრი
**მუჰამედ დაუდი.**

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ— 1960 წლის 5 აპრილს; მისი უდიდებულესობის ავღანეთის მეფის მიერ—1960 წლის 19 სექტემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 19 იანვარს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 74 ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კონვენცია, ხელმოწერილი ჟენევაში 1959 წლის 21 დეკემბერს, **რატიფიცირებულ იქნას,** დარჩეს რა ამჟამად ღიად საბჭოთა კავშირის მიერ რადიოკავშირგაბმულობის რეგლამენტის მიღების საკითხი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 75 აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მექანიკისა და მათემატიკის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო აკადემიკოსი მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 76 სსრ კავშირიდან არგენტინაში არგენტინის ნავთობის მრეწველობისათვის მანქანური მოწყობილობის კრედიტით მიწოდების თაობაზე სსრ კავშირ-არგენტინის შეთანხმების დამატებითი ოქმის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ბუენოს-აირესში 1960 წლის 27 მაისს ხელმოწერილი

დამატებითი ოქმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას შორის 1958 წლის 27 ოქტომბრის შეთანხმებისა სსრ კავშირიდან არგენტინაში არგენტინის ნავთობის მრეწველობისათვის მანქანური მოწყობილობის კრედიტით მიწოდების შესახებ რატიფიცირებულ იქნას.

ეროვნული

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 77 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ს. ემელიანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა ატომური მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვასილ სიმონის ძე ემელიანოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 78 ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვასილ ვასილის ძე კუზნეცოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 79 მედიცინის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში დიდი დამსახურებისათვის და მედიცინის მეცნიერების განვითარებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

### საქართველოს სს რესპუბლიკაში ლენინის ორდენით

1. **ბაკურაძე** ეკატერინე ირაკლის ასული — ლენტეხის რაიონული საავადმყოფოს ფერშალი — მეანი.

2. **ბაქრაძე** აკაკი ტრიფონის ძე — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის პროფესორი

3. **გროზდოვა** თამარ ნიკოლოზის ასული — ქალაქ თბილისის მე-11 პოლიკლინიკის ექიმი — ქირურგი.

4. **ემუხვარი** გიორგი ნესტორის ძე — საქალაქო საავადმყოფოს განყოფილების გამგე, ქალაქი სოხუმი.

5. **ლოლუა** მიხეილ ალექსის ძე — ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი — რენტგენოლოგი.

6 **მხეიძე** არჩილ ნოეს ძე — ტუბერკულოზური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანი.

7. **როინიშვილი** დარეჯან გიორგის ასული — ქალაქ ტყიბულის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი.

### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ალავიძე** ვალენტინა ილიას ასული — საუბნო საავადმყოფოს ექიმი, ცაგერის რაიონის სოფ. ალპანა.

2. **აშიმლი** აშიმ ალი-ოღლი — ქალაქ თბილისის მე-5 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე.

3. **ბუცხრიკიძე** გოგუცა გრიგოლის ასული—ასპინძის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის და.

4. **გელბახიანი** პეტრე გედევანის ძე — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი.

5. **გოზალოვი** ტიგრან არტემის ძე — ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ფერშალი.

6. **დიასამიძე** ვლადიმერ ალექსანდრეს ძე—შუახევის რაიონის ზომლეთის ტუბერკულოზური საავადმყოფოს ექიმი.

7. **ვარდოსანიძე** თინა ონისიმეს ასული — კურორტ წყალტუბოს პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

8. **კირვალიძე** ივანე ნიკოლოზის ძე — გურჯაანის რაიონის მთავარი ექიმი.

9. **კობეშავიძე** ანა მიხეილის ასული — რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი—თერაპევტი, ქალაქი ბათუმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10. **მარუაშვილი** გიორგი შიოს ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

11. **მიხაილოვი** სერგი დიმიტრის ძე — ჰოსპიტლის ექიმი—ორდინატორი.

12. **ფროლკოვა** ევდოკია ეფრემის ასული — ჰოსპიტლის უფროსი მედიცინის და.

13. **ჯიოევა** ანა ზაქარიას ასული — ამბულატორიის ექიმი, ჯავის რაიონის სოფელი წონა.

## „საპატიო ნიშნის" ორდენით

1. **ბაბუხადია** კონსტანტინე კასიანეს ძე — რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი — ფტიზიატრი, ქალაქი ქუთაისი.

2. **ბარნოვი** ნიკოლოზ ვასილის ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიცინის განყოფილების უფროსი.

3. **ბასიშვილი** ვლადიმერ ესტატეს ძე — სამხრეთ ოსეთის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების გამგე.

4. **ბერულავა** ლეონინე ბესარიონის ასული — რკინიგზის პოლიკლინიკის უბნის ექიმი, ქალაქი ხაშური.

5. **ბურშტეინი** ცეცილია ისაის ასული—ქალაქ ბათუმის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

6. **გელაშვილი** ეკატერინე სერაფიონის ასული — ამბულატორიის ექიმი, ორჯონიკიძის რაიონის სოფელი სარგვეში.

7. **გვიშიანი** შალვა ფარნაოზის ძე — საუბნო საავადმყოფოს ექიმი, თელავის რაიონის სოფელი ფშაველი.

8. **გოგოხია** შოთა დორიმენდის ძე — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

9. **გორდაძე** გიორგი ნესტორის ძე — სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

10. **დიასამიძე** ირაკლი ახმედის ძე — აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

11. **ელიავა—დარახველიძე** ქსენია ვლადიმერის ასული — ლენინის სახელობის გულრიფშის ტუბერკულოზური სანატორიუმის განყოფილების გამგე.

12. **ენფიანჯიანი** გალინა ფრანცის ასული—საავადმყოფოს საოპერაციოს და, ახალქალაქის რაიონი.

13. **ვარდანაშვილი** ელენე გაბრიელის ასული — გორის რაიონის მეჯვრისხევის საუბნო საავადმყოფოს ექიმი.

14. **ზედგენიძე** გიორგი სერგის ძე — კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

15. **თავდიშვილი** ეკატერინე ავქსენტის ასული — მახარაძის რაიონის ბავშვთა კონსულტაციის გამგე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16. **თურქია** არჩილ გიორგის ძე — ქ. ფოთის კანისა და ვენეროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი.

17. **კაცია** ვიქტორ ბაგრატის ძე — ქალაქ სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

18. **კერესელიძე** პეტრე გაბრიელის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

19. **ლაპინი** ბორის არკადის ძე — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი, ქალაქი სოხუმი.

20. **ლომდარიძე** ალექსანდრე გიორგის ძე—ქალაქ სტალინირის საოლქო საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

21. **ლორთქიფანიძე** გიორგი ონისიმეს ძე —ახმეტის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სანიტარულ ნაწილში.

22. **მანჯგალაძე** რევაზ ნიკოლოზის ძე — თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგე.

23. **მარგალიტაძე** ვარლამ ვლადიმერის ძე — კურორტ აბასთუმნის სამმართველოს დირექტორი.

24. **მხეიძე** ოლღა კონდრატეს ასული — ქალაქ თბილისის მე-2 საბავშვო პოლიკლინიკის განყოფილების გამგე.

25. **ნაკაშიძე** ელენე ერმილეს ასული—ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

26. **ნემსაძე** ზურაბ ივანეს ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს უფროსი.

27. **ოგლობლინა** ზინაიდა ივანეს ასული — ქალაქ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ექიმი — ორდინატორი.

28. **ოდიშვილი** გიორგი იასონის ძე — ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

29. **პეტაშვილი** იოსებ ივანეს ძე — ახალქალაქის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

30 **პეტრიაშვილი** გივი აფრასიონის ძე — ამბროლაურის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში.

31. **ჟორდანია** მარიამ დიომიდეს ასული — საგარეჯოს რაიონის ექიმი-პედიატრი.

32. **რცხილაძე** სტეფანე ირადიონის ძე — სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე.

33. **სვანიძე** ლეილა ხარიტონის ასული — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის საამქროს ორდინატორი.

34. **სულავა** ეკატერინე ვასილის ასული — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის უბნის პედიატრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

35. **სურგულაძე** ნინო სიმონის ასული — სამგორის რაიონის საუბნო საავადმყოფოს ექიმი.

36. **ტუღუში** თამარ სამხელის ასული—ჯანმრთელობის პუნქტის ფერშალი — მეანი, შუახევის რაიონის სოფელი ბრილი.

37. **უდესიანი** უჩა ტარასის ძე — მესტიის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ფერშალი.

38. **ფალავანდიშვილი** ირაკლი ვასილის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში.

39. **ქურციკაშვილი** სოლომონ ლევანის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.

40. **ღლონტი** ეთერ ვალერიანის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.

41. **შეყლაშვილი** გიორგი ნიკოლოზის ძე — ქალაქ თბილისის 1-ლი საავადმყოფოს ექიმი—ორდინატორი.

42. **ჩიქოვანი** ლავრენტი მალაქიას ძე — ჩხოროწყუს რაიონული საავადმყოფოს ექიმი—ვენეროლოგი.

43. **ჩიხლაძე** გრიგოლ რომანის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

44. **ცომაია** სერგი ვლადიმერის ძე — საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კურორტთა სამმართველოს უფროსი.

45. **ცხომელიძე** ნინო თევდორეს ასული — კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კაბინეტის გამგე.

46. **წერეთელაშვილი** ევგენია იოსების ასული — კასპის რაიონული საავადმყოფოს ფერშალი.

47. **წითლანაძე** ვლადიმერ გიორგის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

48. **ჭალაღანიძე** შალვა ნესტორის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.

49. **ჭაჭიაშვილი** ანა ბარამის ასული — ახალციხის ქვანახშირის ტრესტის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის ექიმი — თერაპევტი.

50. **ხერხეულიძე** ნატალია გალოს ასული— გორის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგე.

51. **ჯიოევა** ანა ზაქარიას ასული — ამბულატორიის ექიმი, ჯავის რაიონის სოფელი წონა.

## მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. **ამაშუკელი** ვიქტორ ირაკლის ძე — ტუბერკულოზური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, გორის რაიონის სოფელი შინდისი.

2. **ანტონოვა** ვერა თევდორეს ასული — კურორტ გუდაუთის პოლიკლინიკის ლაბორანტი.

3. **ბადრიძე** ქეთევან დიმიტრის ასული — სამგორის რაიონის სოფელ მარტყოფის საექიმო უბნის გამგე.

4. **ბაზალი** ვარლამ ილიას ძე — ყაზბეგის რაიონის მთავარი ექიმი.

5. **ბერიკაშვილი** თამარ ზაქარიას ასული — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „ზეკარის" განყოფილების გამგე.

6. **ბიჭიკაშვილი** ოლღა იოსების ასული — კვაისის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის ექიმი — სტომატოლოგი, ჯავის რაიონი.

7. **ბურდული** სოფიო ტარასის ასული — დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის ამბულატორიის გამგე.

8. **გაგლოევა** ნიურა ზაქარიას ასული — საუბნო საავადმყოფოს მედიცინის და, ზნაურის რაიონის სოფელი წნელისი.

9. **გიგიტაშვილი** ილია დავითის ძე — საუბნო საავადმყოფოს გამგე, ხაშურის რაიონის სოფელი ქვიშხეთი.

10. **დავითულიანი** ელენე ანტონის ასული — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო განყოფილების ფერშალი.

11. **დვალი** ივანე ეპიფანეს ძე — თეთრიწყაროს რაიონის მთავარი ექიმი.

12. **დოლიძე** ვახტანგ ეპიფანეს ძე — ადიგენის რაიონის მთავარი ექიმი.

13. **დუმბაძე** ლეილა ვლადიმერის ასული — საქალაქო საავადმყოფოს ექიმი—ინფექციონისტი, ქალაქი ტყვარჩელი.

14. **დუშუაშვილი** დიმიტრი გიორგის ძე—ხობის რაიონის მთავარი ექიმი.

15. **ელოვეცკაია** პოლინა პავლეს ასული — ქალაქ თბილისის მე-17 პოლიკლინიკის ექიმი — ქირურგი.

16. **ერგემლიძე** აკაკი ტრიფონის ძე — ქალაქ თბილისის მე-2 პოლიკლინიკის მორიგე ექიმი.

17. **ვარდანია** ეკატერინე მელიტონის ასული — ქალაქ ტყვარჩელის სამედიცინო სანიტარული ნაწილის ექიმი — თერაპევტი.

18. **ზლულაძე** ალექსანდრე მიხეილის ძე — ლანჩხუთის რაიონის მთავარი ექიმი.

19. **ზუხბა** ლიდია საიდის ასული — გუდაუთის რაიონის სოფელ დვანდურის საფერშლო-სამეანო პუნქტის გამგე.

20. **თავბერიძე** ივანე დომენტის ძე — ქალაქ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ფერშალი.

21. **თურმანიძე** მარიამ ნიკოლოზის ასული — ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის ამბულატორიის ექიმი — სტომატოლოგი.

22. **ივაკინა** ანა ივანეს ასული — გაგრის საკურორტო პოლიკლინიკის ექიმი.

23. **ინწკირველი** მერი ისიდორეს ასული — ქალაქ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის მედიცინის და.

24. **კალოევა** ელენე გაბრიელის ასული — სამხრეთ ოსეთის ტუბერკულოზური დისპანსერის მთავარი ექიმი.

25. **კალანდარია** ზინაიდა ანდრიას ასული—ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. **კახიანი** ვახტანგ ვლადიმერის ძე — ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" რედაქტორის მოადგილე.

27. **კვირიკაშვილი** მარგარიტა დავითის ასული — ქალაქ თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ფერშალი.

28. **კივი** ადელინა ივანეს ასული — გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის ბავშვთა სანატორიუმის ექიმი — ორდინატორი.

29. **კიკნაძე** ქეთევან ნიკოლოზის ასული — ჭიათურის საქალაქო საავადმყოფოს ექიმი—გინეკოლოგი.

30. **კოზლოვა** ელისაბედ არტემის ასული—მარნეულის რაიონული საავადმყოფოს ექიმი — ინფექციონისტი.

31. **კონდაკოვი** გიორგი ივანეს ძე — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მაიმუნსაშენის გამგე, ქალაქი სოხუმი.

32. **ლაბაძე** გიორგი ივანეს ძე — უბნის ექიმი, ლაგოდეხის რაიონის სოფელი ცოდნისკარი.

33. **ლაგვილავა** ვარლამ იაკობის ძე — ოჩამჩირის რაიონის ჯგერდის სასოფლო საავადმყოფოს ფერშალი.

34. **ლეკიშვილი** ეკატერინე ალექსის ასული — თელავის რაიონის სამშობიარო სახლის ექიმი—ორდინატორი.

35. **მამრიკაშვილი** ქეთევან დიმიტრის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს სანატორიუმ „წყალტუბოს" უფროსი მედიცინის და.

36. **მარქაროვი** სერგი მიხეილის ძე — ქალაქ თბილისის პირველი ვენეროლოგიური დისპანსერის განყოფილების გამგე.

37. **მამუჩიშვილი** ლუბა ივანეს ასული — კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის განყოფილების უფროსი მედიცინის და.

38. **მახარაძე** ეთერ დავითის ასული — საამქროს ექიმი.

39. **მემანიშვილი** დიმიტრი შალვას ძე — ბოგდანოვკის რაიონის მთავარი ექიმი.

40. **მიქაელიანი** სურენ სერგის ძე — სასოფლო საავადმყოფოს ექიმი, ახალქალაქის რაიონის სოფელი ოკამი.

41. **მსახურაძე** შალვა დემურალის ძე — შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულის ამბულატორიის ექიმი.

42. **ნადირაშვილი** ზემფირა გიორგის ასული — რუსთავის ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე.

43. **ნამიჩეიშვილი** მიხეილ სიმონის ძე — სამტრედიის კანისა და ვენეროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი.

44. **ნარეშელაშვილი** გიორგი ბესარიონის ძე — კურორტ ბორჯომის სანატორიუმ „ფირუზას" მთავარი ექიმი.

45. **რაზმაძე** ელისო მიხეილის ასული —რაიონული საავადმყოფოს ეპიდემიოლოგის თანაშემწე, დმანისის რაიონი.

46. საენკო მარიამ პავლეს ასული — ქალაქ თბილისის 1-ლი პოლიკლინიკის ექიმი — რენტგენოლოგი.

47. საყვარელიძე დავით სიმონის ძე — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის ასისტენტი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

48. სალუქვაძე გერმანე ლაზარეს ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ აჭის საფერშლო-სამეანო პუნქტის გამგე.

49. სეფაშვილი ქეთევან დავითის ასული — ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის უბნის ექიმი.

50. სულთანიშვილი ანა სოკრატეს ასული — თიანეთის რაიონული საავადმყოფოს ექიმი — თერაპევტი.

51. ტაბატაძე ვსევოლოდ ვლასის ძე — ქალაქ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ექიმი.

52. ტერსენოვი გიორგი ხარლამპეს ძე — წალკის რაიონული საავადმყოფოს რენტგენოლოგიის კაბინეტის გამგე.

53. ტურხოვსკაია კლავდია ალექსანდრეს ასული — რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი მედიცინის და, ქალაქი თბილისი.

54. ფეტელავა ბართლომე ვასილის ძე — საუბნო საავადმყოფოს ექიმი, გალის რაიონის სოფელი ოტობაია.

55. ქათამაძე ეთერ მამედის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ზინის საფერშლო-სამეანო პუნქტის გამგე.

56. ქირია ნინო სპირიდონის ასული — ცხაკაიას რაიონული საავადმყოფოს ექიმი—თერაპევტი.

57. ყიფიანი შუშანა ნესტორის ასული—ჰოსპიტლის უფროსი მედიცინის და.

58. ყურაშვილი ბერტა ბორისის ასული — ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმი—პედიატრი.

59. შაინიძე ზურაბ ახმედის ძე — ხულოს რაიონის ყინჩაურის საუბნო საავადმყოფოს ფერშალი.

60. შანთაძე ოთარ ხასანის ძე — საუბნო საავადმყოფოს ფერშალი, ხულოს რაიონის სოფელი ვიკეთი.

61. შერვაშიძე ოლღა ვარლამის ასული — რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი, ქალაქი სოხუმი.

62. ჩეკურიშვილი იათამზე ადამის ასული — თიანეთის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში.

63. ჩოფიკაშვილი ოლღა სტეფანეს ასული — ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს ეპიდემიოლოგის თანაშემწე.

64. ჩხეიძე ბორის ზევინის ძე — ტუბერკულოზური სანატორიუმის „ლიბანის“ მთავარი ექიმი, ბორჯომის რაიონი.

65. ჩხეტია იპოლიტე მიხეილის ძე — კურორტ მენჯის სანატორიუმ „კოლხეთის“ განყოფილების გამგე, ცხაკაიას რაიონი.

66. ცაგარეიშვილი ვერა ივანეს ასული — საქალაქო პოლიკლინიკის ექიმი — სტომატოლოგი, ქალაქი მცხეთა.

67. ცოტაძე ეთერ იასონის ასული — რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმი, ქალაქი სამტრედია.

68. **წივწივაძე** დავით ილარიონის ძე — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს ექიმი—თერაპევტი.

69. **ხალვაში** ნიაზ მუსტაფას ძე —ქედის რაიონის მთავარი ექიმი.

70. **ხეთაგუროვა** ევგენია მიხეილის ასული—ქალაქ სტალინირის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

71. **ჯალაღანია** ირინე ლეონტის ასული — ქალაქ თბილისის მე-5 პოლიკლინიკის განყოფილების გამგე.

72. **ჯიქიძე** ეთერ კაპიტონის ასული—სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 80 სსრ კავშირის სახალხო არტისტის ამხ. ბ. ნ. რიჟოვას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურების გათვალისწინებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბარბარე ნიკოლოზის ასული **რიჟოვა** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 81 საქართველოს სსრ მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. შუშანიკ ვაღარშაკის ასულ **ადამიანს** — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი კაბური.

2. ვარსენიკ ზურაბის ასულ **ბაბოიანს** — XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბოგდანოვკის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სალომე ანასტასის ასულ **ბალაბანოვას** — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი გუმბათი.

4. აიშე სულეიმანის ასულ **გოხიძეს** — ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი.

5. შუშანა ნიკოლოზის ასულ **ინასარიძეს** — წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ახალციხის რაიონი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 82 მწერალ გ. ხ. ძუგაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი გიორგი ხასაკის ძე ძუგაევი დაჯილდოებულ იქნას „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 83 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და მრავალი წლის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 16 თებერვალი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში დიდი დამსახურებისა და მედიცინის მეცნიერების განვითარებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 6.982 მედიცინის მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 478 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 1.064, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 1.943 და მედლით — „შრომითი მამაცობისათვის" — 3.497 კაცი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ისლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. ჰუდმუნდსონმა

ა/წლის 4 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ისლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კრისტინ ჰუდმუნდსონი, რომელმაც გადასცა თავის რწმუნების სიგელები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და კ. ჰუდმუნდსონმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვებით მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა კ. ჰუდმუნდსონს. საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 84 ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. შოთა ილარიონის ძე ჭანუყვაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 85 ამხ. ბ. ა. იაკობაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ბიძინა აბიათარის ძე იაკობაშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 86 ამხ. ზ. მ. რატიანის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. ზურაბ მელქისედეკის ძე რატიანი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 87 ამხ. ვ. თ. გრძელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ

დაშვებულ იქნას ამხ. ვახტანგ თევდორეს ძე გრძელიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 თებერვალი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 88 საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება:

1. ილია ვლადიმერის ძე **აბულაძეს** — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერების ინსტიტუტის დირექტორს.

2. ელევთერ ლუარსაბის ძე **ანდრონიკაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორს.

3. დავით გიორგის ძე **ალლაძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს.

4. ირაკლი დიმიტრის ძე **ბათიაშვილს**—საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს.

5. ანატოლი გიორგის ძე **ბალაბუევს** — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

6. აკაკი ტრიფონის ძე **ბაქრაძეს** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეანობისა და გინეკოლოგიის კათედრის პროფესორს.

7. დიმიტრი მიხეილის ძე **გედევანიშვილს** — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

8. გიორგი ვლადიმერის ძე **გვახარიას** — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

9. ევტიხი გიორგის ძე **გობრონიძეს** — პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

10. პლატონ ვლადიმერის ძე **გოგორიშვილს** — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

11. ვასილ ზაქარიას ძე **გულისაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის დირექტორს.

12. ლეო შიოს ძე **დავითაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს, სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს.

13. მიხეილ კონსტანტინეს ძე **დარასელიას** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

14. რაფიელ რაფიელის ძე **დვალს** — აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს.

15. სერგი ვასილის ძე **დურმიშიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს.

16. ალექსანდრე იოსების ძე **ედიბერიძეს** — პროფესორს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

17. ალექსანდრე ვალენტინის ძე ვასილევს — პროფესორს, სოხუმის ბოტანიკური ბაღის განყოფილების ხელმძღვანელს.

18. კონსტანტინე ფარნაოზის ძე ვეფხვაძეს — პროფესორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

19. გიორგი მიხეილის ძე ზარიძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

20. გიორგი იასონის ძე თავზიშვილს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

21. დავით ქაიხოსროს ძე იაშვილს — პროფესორს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

22. ივანე ბესარიონის ძე კაჭარავას — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

23. ალექსანდრე არჩილის ძე კვალიაშვილს — პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

24. მიხეილ ივანეს ძე კოკოჩაშვილს — პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

25. ალექსანდრე სამსონის ძე ლეჟავას — პროფესორს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

26. დავით ონისიმეს ძე ლორთქიფანიძეს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორს, რსფსრ პედაგოგიური მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

27. რევაზ გრიგოლის ძე ნათაძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

28. მიხეილ დიმიტრის ძე რჩეულიშვილს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლეო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

29. მიხეილ ნიკოლოზის ძე საბაშვილს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს.

30. ივანე ფაუსტის ძე სარიშვილს — პროფესორს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორს.

31. სიმონ ალექსანდრეს ძე ქარუმიძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების გამგეს.

32. პეტრე ანტონის ძე ქომეთიანს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

33. ლევან ალექსის ძე ყანჩაველს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა აკადემიის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.

34. გიორგი სპირიდონის ძე **ჩიტაიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

35. გიორგი ავერიანის ძე **ცქიმანაურს** — პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

36. გიორგი ვასილის ძე **წერეთელს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეს.

37. ევგენი კირილეს ძე **ხარაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.

38. იოსებ ვასილის ძე **ჯავახიშვილს** — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტალური კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს.

39. ლევან ივანეს ძე **ჯაფარიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

40. გალაქტიონ ათანასეს ძე **ჯიმშელეიშვილს** — პროფესორს, ნაგებობათა და ჰიდროენერგიის თბილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორს.

41. სერგი სიმონის ძე **ჯიქიას** — პროფესორს, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 14 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 89 მოწინავე ახალგაზრდა მშენებლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაჯილდოებულ იქნან **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** მოწინავე ახალგაზრდა მშენებლები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რესპუბლიკის დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე:

1. ვენერა დავითის ასული **ალღუნაშვილი** — ტრესტ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის რუსთავის რკინაბეტონის ნაწარმის კომბინატის სიმ-ბეტონის საამქროს წუნმდებელი.

2. გივი ალექსანდრეს ძე **გოლაშვილი** — „მთავართბილმშენის" ტრესტ „თბილსპეცმშენის" № 10 სამშენებლო სამმართველოს ხურო-ბრიგადირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. დავით პეტრეს ძე **ლონდაძე** — „თბილგვირაბმშენის“ № 3 უბნის ზეინკალი.

4. შალვა ვიქტორის ძე **ლოჩია** — „ტყვარჩელშახტმშენის“ № 8 შახტის მშენებლობის გვირაბგამყვანი.

5. თამაზ მიხეილის ძე **ვაშაძე** — „ჭიათურმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

6. შუქრი გალაქტიონის ძე **თვარაძე** — ტრესტ „საქჰიდროელექტრომშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ხრამჰეს-2“-ს მებეტონე.

7. გურამ მიხეილის ძე **კაპანაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურმშენის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

8. იუზა აპოლონის ძე **კობახიძე** — საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, დამკვრელ-კომკავშირული მშენებლობის საქალაქო შტაბის უფროსი.

9. გულიკო კონსტანტინეს ძე **ლორთქიფანიძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „თბილშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

10. სოფიო ივანეს ასული **მაკარევიჩი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქ. სოხუმის № 6 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს მეამწევე.

11. ვახტანგ გიორგის ძე **ნადირაძე** — ტრესტ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველო „ტრანსსპეცმშენის“ მებეტონეთა ბრიგადირი.

12. ჯემალ შალვას ძე **რუხაძე** — საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ ინჟინერი.

13. ანატოლ დავითის ძე **სალუქვაძე** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ხრამჰეს-2“-ს გვირაბგამყვანი.

14. მიხეილ ივანეს ძე **სტრიჟაკოვი** — ტრესტ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველო „მეტალურგმშენის“ მეამწევე.

15. ანზორ სოლომონის ძე **სუთიძე** — ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ № 1 სამშენებლო უბნის ზეინკალ-მემონტაჟე.

16. ლაზარე გრიგოლის ძე **თასოევი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამხრეთ-ოსეთის სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

17. სიმონ ნურის ძე **ქათამაძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

18. ოთარ იპატის ძე **ლლონტი** — საქართველოს ალკკ ცკ-ის განყოფილების გამგის მოადგილე.

19. გულსუნდა ირაკლის ასული **ყანჩელი** — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქსახპროექტის“ ინჟინერ-კონსტრუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ფირუზა მიხეილის ძე ჩახმახიშვილი — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" „სიონმშენის" № 1 სამშენებლო უბნის მებეტონე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 18 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 90 გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია" დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 18 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 91 ამხ. გ. ი. კეჩხუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ნაყოფიერი მუშაობის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. გაბრიელ ისაკის ძე კეჩხუაშვილი დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 18 თებერვალი.